თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.karosanidze@freeuni.edu.ge

რადიკალური დაჯგუფებები არამეინსტრიმულ მედიაში

რეზიუმე

თანამედროვე რადიკალური დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად მიმართავენ არამეინსტრიმულ მედიას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სოციალური მედიის განვითარებამ ნათლად აჩვენა რადიკალურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, რომ ინტერნეტპლატფორმები წარმატებული სივრცეა ოპერირებისთვის, საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად და რეკრუტირებისთვის. ამასთანავე, სოციალური მედია ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული და უფრო მეტ ადამიანს მოიცავს, ვიდრე პრესა თუ ტელევიზია.

კვლევაში განხილულია ის სფეროები, რომელშიც რადიკალური ძალადობრივი დაჯგუფებები არამეინსტრიმულ მედიას იყენებენ: პროპაგანდა, რადიკალიზაცია, რეკრუტირება, ფონდების მოძიება, ინფორმაციის გავრცელება და ოპერაციების დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: რადიკალური დაჯგუფებები, სოციალური მედია, ექსტრემიზმი, რეკრუტირება, დაფინანსება

რადიკალური დაჯგუფებებისთვის მედია რომ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ეს მათი ბრძოლის ტაქტიკას უკავშირდება, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს მათ შესახებ. ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნეში იუდეაში მოქმედი ზილოტების იგივე სიკარიების დაჯგუფება სახალხო ბაზრებში თავს ესხმოდა მსხვერპლს, რათა შიში დაეთესა. მოგვიანებით, პრესის გაჩენამ ანარქისტ ექსტრემისტებს საშუალება მისცა, საკუთარი გაზეთები გამოეშვა და ასე გაევრცელებინა ინფორმაცია. აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოს გამოდიოდა გაზეთი „ფრაიჰაითი", რომლის რედაქტორი ანარქისტი იოჰან მოსთი იყო და სადაც ანარქისტული სტატიები იბეჭდებოდა. სწორედ ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო დააპატიმრეს მოსთი 1902 წელს, როდესაც პრეზიდენტ მაქქინლიზე თავდასხმას ამართლებდა და წერდა, რომ მმართველის მოკვლა კრიმინალი არ იყო (Nacos 2016, 87).

თანამედროვე პერიოდშიც გამოსცემენ რადიკალური დაჯგუფებები საკუთარ ჟურნალებს, სადაც სხვადასხვა ტიპის სტატიები იბეჭდება. ამ ჟურნალების მომხმარებლები დაჯგუფებების წევრები არიან, თუმცა ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ქონდეს. ე.წ. ისლამური სახელმწიფო რამდენიმე ჟურნალს გამოსცემდა: „დაბიქი", „რუმია". ასევე საკუთარი ჟურნალი აქვს ალ-კაიდას დაჯგუფებას, სახელად „ინსფაიარ" („The Inspire"). ჟურნალის დამაარსებელია ალ-კაიდას დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი ანვარ ალ-ავლაკი. ინგლისურენოვანი ჟურნალი რელიგიური ტიპის სტატიებს ავრცელებდა. თუმცა ამავე ჟურნალში დაიბეჭდა სტატია სათაურით „როგორ დავამზადოთ ბომბი დედაშენის სამზარეულოში", რომელიც ბომბის დამზადების დეტალურ რეცეპტს იძლეოდა (Reed and Ingram 2017, 6-7).

ტელევიზიის პოპულარობამ და პირდაპირმა გადმოცემებმა უფრო ფართო საშუალება მისცა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს საკუთარი ქმედებები თუ მოთხოვნები პირდაპირ

ეთერში წაყენებინათ. მაგ., 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს პალესტინური დაჯგუფების „შავი სექტემბრის“ წევრები თავს დაესხნენ ისრაელის ოლიმპიურ გუნდს და გუნდის ყველა წევრი მძევლად აიყვანეს. აღსანიშნავია, რომ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების გახსნას მსოფლიოში ერთდროულად 6 მლნ. ადამიანი ადევნებდა თვალს. შესაბამისად, პალესტინური დაჯგუფების წევრებმა ზუსტად გათვალეს, რომ მათ ქმედებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიგებდნენ ტელევიზიის საშუალებით.

ინტერნეტის განვითარებამ ექსტრემისტული დაჯგუფებები ახალი პლატფორმების წინაშე დააყენა. სოციალური მედია მათი პოლიტიკური გზავნილების გავრცელების უფრო იაფი და მარტივი საშუალება გახდა, რომელიც ასევე უფრო დიდ აუდიტორიას მოიცავდა. რადიკალური დაჯგუფებები ინტერნეტს იყენებენ რამდენიმე მიზნისთვის: რადიკალიზაცია და რეკრუტირება, ინფორმაციის გავრცელება, კოორდინირება და ოპერაციების დაგეგმვა, ფონდების მოძიება.

ინტერნეტი რომ ბრძოლის ტაქტიკის ახალი პლატფორმა გახდა, ამაზე მიუთითებს ახალი ტერმინოლოგიაც, რომელიც რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებში გაჩნდა: „E-Jihad“ ანუ ელექტრონული ჯიჰადი და „Internet Intifada“ ანუ ინტერნეტის ინთიფადა. ახალი ფორმის ტერორიზმის მიზანს არ წარმოადგენდა ფიზიკური ზიანის მიყენება, არამედ უფრო მატერიალურ ზიანზეა კონცენტრირებული. ამის გამო ტერორიზმის ამ ახალ ფორმას მეტი მიმდევარი გამოუჩნდა, თუმცა უკვე არსებული დაჯგუფებებიც აქტიურად მიმართავენ ინტერნეტს. 2015 წელს ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ გატეხა აშშ-ის სამხედრო ცენტრალური command საიტი და გამოაქვეყნა ასი სამხედროს სახელი. დაჯგუფებამ მოუწოდა წევრებს, რომ ეს ჯარისკაცები სამიზნეებად გაეხადათ (Lamothe 2015).

ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ ინტერნეტის გამოყენება მსოფლიო უსაფრთხოებისთვის რომ დიდი გამოწვევაა, ამაზე მეტყველებს 2021 წელს თეთრი სახლის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „ტერორისტების და მოძალადე ექსტრემისტების მიერ ინტერნეტის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მიზნად ისახავს რადიკალიზაციას და რეკრუტირებას, აშშ-სთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია“ (Evans and Williams 2022, 1). ეს განცხადება ასევე უკავშირდებოდა 2016 წლიდან დაწყებულ „PIZZAGATE“ სკანდალს, რომ თითქოს დემოკრატიული პარტიის წევრები ვაშინგტონის ერთ-ერთ პიცერიაში არასრულწლოვანებზე ძალადობდნენ. იმავე წელს გატეხეს ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ჯონ პოდესტას იმეილი, სადაც თითქოსდა ბავშვებზე ძალადობის შესახებ დაშიფრული მიმოწერა აღმოაჩინეს (Sorkin 2016). ასე გაჩნდა QANON ტერმინი, რომელიც ინტერნეტის კონსპირაციული თეორიებისთვის გამოიყენება. QANON პოსტები აქტიურად ვრცელდებოდა სოციალურ ქსელში Q drops ანუ წვეთების სახით. პოსტების ავტორი, როგორც წესი ამტკიცებდა, რომ მაღალი რანგის ჩინოვნიკი იყო. ასეთი პოსტებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დემოკრატიული პარტიის წევრები კაბალისტები და სატანისტები იყვნენ. კაბალისტებს შორის სახელდებოდა ასევე რომის პაპი ფრანცისკი და დალაი ლამაც. სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტის 2017-2021 წლების კვლევის თანახმად, QANON ქონდა 69 მლნ. თვითი, 487 000 ფეისბუქის პოსტი, 281 000 ინსტაგრამის პოსტი. მარტივი ამოსაცნობია, რომ ამ გვერდის მიმდევრები ძირითადად ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მომხრეები იყვნენ, მათ შორის იყო ასევე 2023 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე თავდამსხმელებიც (Rubin, Burggeman, and Steakin 2021).

კვლევა ეყრდნობა სოციალური მედიის ანალიზს, ასევე ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ გამოქვეყნებულ პოსტებსა თუ განცხადებებს, რომელიც სხვადასხვა პლატფორმაზე ვრცელდება (ფეისბუქი, თვითერი, იუთუბი), ასევე ექსტრემისტული დაჯგუფებების სხვადასხვა გამოცემებს და ჟურნალებს („რუმია“, „მუჯაჰედები დასავლეთში“, „The Inspire“).

კვლევაში გაანალიზებულია ის საკითხები, რომელიც უკავშირდება ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ არამეინსტრიმული მედიის გამოყენების მიზეზებსა და მიზნებს. გამოიკვეთა რამდენიმე მიზანი, რის გამოც სხვადასხვა ტიპის თუ იდეოლოგიის ექსტრემისტული

დაჯგუფება სოციალურ მედიას მიმართავს: რადიკალიზაცია, რეკრუტირება, ფონდების მოძიება, იდეოლოგიის თუ ინფორმაციის გავრცელება.

რადიკალიზაცია და რეკრუტირება

რადიკალიზაცია რომ სპონტანური გადაწყვეტილება არ არის და მას გარკვეული პროცესი წინ უძღვის, ეს უკვე ცალსახად დადასტურებულია. რადიკალიზაცია სამ ეტაპს გადის: იდენტობის კრიზისი, ლეგიტიმაციის კრიზისი და ლეგიტიმურობის კრიზისი. კრიზისის გამომწვები ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც შიდა, ასევე გარე. გარე ფაქტორები ძირითადად არის ის გარემო, სოციუმი, სადაც ცხოვრობს ადამიანი. გარე ფაქტორები ასევე შეიძლება ბიძგის როლსაც ასრულებდეს ადამიანის რადიკალიზაციისთვის. მაგ., პროტესტი, შეიარაღებული თავდასხმა, ამბოხი (Smith 2018, 5).

იდენტობის კრიზისი, რომელშიც ინდივიდი სახელმწიფოს ადანაშაულებს, იწვევს ლეგიტიმაციის კრიზისს და ეს უკანასკნელი კი ხდება ლეგიტიმურობის კრიზისის წინაპირობა. რადიკალიზებული ადამიანი საკუთარი „ფუნქციის“ შესასრულებლად ეძებს შესაბამის გარემოს, რაც ბოლო პერიოდში სოციალური მედიის ვირტუალური ჯგუფები გახდა.

სოციალური მედია წარმატებული ადგილი გახდა თანამოაზრეების ვირტუალური ჯგუფების შესაქმნელად და ამ ჯგუფებში ინფორმაციის გასავრცელებლად. ვირტუალური ინტერაქცია ხელს უწყობს რადიკალური იდეების გავრცელებას და ახალი წევრების მოზიდვას. ყოფილი ათი მემარჯვენე რადიკალის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათი რადიკალიზაცია ინტერნეტმა უფრო გაამძაფრა და ხელი შეუწყო. 2005-2016 წლებში 479 ექსტრემისტის ძალადობრივი საქმიანობა სოცმედიის გამოყენებით უფრო გაიზარდა (Herath and Whittaker 2021, 1027-1048).

რეკრუტირებას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს. პირველი ეტაპი არის მტრის დეჰუმანიზაცია, როდესაც მტერი არ არის კონკრეტული ინდივიდი, არამედ მას კრებსითი სახელით მოიხსენიებენ. მაგ., ისლამისტური ექსტრემისტული დაჯგუფებები მტრებს მოიხსენიებენ, როგორც „ქაფირებს (ქართ. ურწმუნოებს)“, „ჯვაროსნებს“, „ღორებს“.

შემდეგ ეტაპს მსხვერპლის არჩევა წარმოადგენს. მსხვერპლი აირჩევა იმ იდეოლოგიის შესაბამისად და ტაქტიკის გათვალისწინებით, რომელსაც კონკრეტული ექსტრემიტული დაჯგუფება ატარებს. მაგ., იტალიაში მოქმედი იტალიის წითელი ბრიგადები სამიზნედ ირჩევდნენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს: მოსამართლეებს, სამხედროებს, ჩინოვნიკებს, პოლიციას. მათი სამიზნე გახდა იტალიის პრემიერი ალდო მორო, რომელსაც 1978 წელს თავს დაესხნენ და მძევლად აიყვანეს. დაჯგუფების მოთხოვნებზე უარის შემდეგ კი იგი მოკლეს (Chailand and Blin 2007, 236-237).

მომდევნო ეტაპებს მსხვერპლისთვის ბრალის წაყენება და დასჯის ფორმის მოფიქრებაა. რელიგიური ექსტრემისტული დაჯგუფებების შემთხვევაში მტრის დეჰუმანიზაცია ხელს უწყობს შემდეგ მკვლელობის რელიგიურ გამართლებას. თუმცა ასევე ამართლებს საკუთარ ქმედებას არარელიგიური დაჯგუფებებიც მათი იდეოლოგიის მიხედვით. მაგ., „თამილის ვეფხვების“ ბრძოლის ტაქტიკას ძირითადად სუიციდური ტერორიზმის ფორმა წარმოადგენს. 1991 წელს დაჯგუფების წევრმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯიფ განდი მოკლა იმ ბრალდებით, რომ ეს უკანასკნელი თამილელების წინააღმდეგ სინჰალელებს უჭერდა მხარს შრი ლანკაში. განდის ვიზიტიც ამ მხარდაჭერის გამოხატულება იყო. სწორედ ამ მხარდაჭერის გამო „დაისაჯა“ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

ინფორმაციის გავრცელება

ექსტრემისტული დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ მედიას, როგორც მეინსტრიმულს, ისე სოციალურ ქსელებს საკუთარი გზავნილების გავრცელებისთვის. მაგ., ე.წ. ისლამური სახელმწიფო პირველად 2014 წელს სწორედ ინტერნეტში გამოჩნდა, როდესაც იუთუბ-

ზე აიტვირთა ვიდეო, რომელიც ამერიკელი ჟურნალისტის ჯეიმს ფოლის[1] თავის კვეთის კადრებს შეიცავდა. ხუთწუთიან ვიდეო მიმართვაში, რომელიც დაჯგუფებამ გაავრცელა, მკვლელი მოუწოდებდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ერაყიდან ჯარები გაეყვანა. წინააღმდეგ შეთხვევაში კიდევ ერთი ამერიკელი ჟურნალისტის მოკვლით იმუქრებოდა (Carter 2014; Aldera et. al 2021, 161614).

იუთუბი გახდა ბოკო ჰარამის პროპაგანდისტული მიზნებისთვის ვიდეოების გავრცელების წარმატებული პლატფორმა. დაჯგუფებამ 2014 წელს ბორნოდან გოგონები გაიტაცა და შემდეგ საკუთარი ხელის კამერებით გადაღებული ვიდეოები გაავრცელა. დაჯგუფების ლიდერი აბუ ბაქარ შეკაუ ვიდეოში პასუხისმგებლობას იღებდა ამ გოგონების გატაცებაზე და მათ მონებად გაყიდვას ამართლებდა იმით, რომ ღმერთის მითითებებს ასრულებდა (Besenyo and Sinko 2021, 73).

სომალის დაჯგუფება ალ-შაბაბი ასევე აქტიურად იყენებს საკუთარ მედია დეპარტამენტს სახელად „ალ-ქათა'იბ მედია“, რომელიც რეკრუტირების ძირითადი ინსტრუმენტია. თუმცაღა, დაჯგუფება ასევე აქტიურობს თვითერზე. პირველი ანგარიში 2011 წელს შეიქმნა სახელად @HSMPress, რაც წარმოადგენს აბრევიატურას სახელწოდების: ჰარაქათ ალ-შაბააბ ალ-მუჯაჰიდინის პრესის ოფისი. ერთი წლის განმავლობაში დაჯგუფებამ 2500 მიმდევარი გაიჩინა ამ პლატფორმაზე (Besenyo and Sinko 2021, 70).

ონლაინ ჟურნალებს რაც შეეხება, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს და ალ-კაიდას მხარდამჭერებმა რამდენიმე ახალი ჟურნალი გამოსცეს მათთვის, ვინც ოფიციალურად არ არის დაჯგუფების წევრი, მაგრამ მხარს უჭერს მათ იდეოლოგიას. ამ ჟურნალებიდან გამოირჩევა სამი: „მანჰეთენის მგლები“[2] ალ-კაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე დაჯგუფებასთან დაკავშირებულმა ონლაინ ჯგუფმა „ჯაიშ ალ-მალაჰიმ ალ-ილიქთრუნი“ (ელექტრონული საბრძოლო არმია) ჩამოაყალიბა; ჟურნალი 2020 წლიდან გამოდის არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

„მუჯაჰედები დასავლეთში“ ალ-კაიდასთან აფილირებულ ექსტრემისტს აბუ იაჰია ალ-ხურასანის ეკუთვნის; ჟურნალი ინგლისურენოვანია და მისი მკითხველთა აუდიტორია ძირითადად აშშ-სა და ევროპაში მცხოვრები რადიკალი ისლამისტები არიან. „მუჯაჰედები დასავლეთში“ გამოცემული სტატიები ეხებოდა ინსტრუქციებს, როგორ მოეკლათ რაც შეიძლება მეტი დასავლელი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

„ხურასანის ხმა“ ინგლისურენოვანი გამოცემაა, რომელიც 2022 წლის თებერვალში გამოვიდა და ე.წ. ისლამური სახელმწიფოს საქმიანობას ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში აშუქებს.

საკუთარი მედიის გარდა, ექსტრემისტული დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ სოციალ პლატფორმებს. თვითერი წარმატებული პლატფორმა აღმოჩნდა ალ-კაიდას ისლამური მაღრიბის დაჯგუფებისთვის, სადაც პირველი თვითი 2013 წლის 16 მარტს გამოჩნდა. დაჯგუფება აქტიურად იყენებს „ღია პლატფორმას“ იმისთვის, რომ მიმდევრებმა თუ დაინტერესებულმა პირებმა კითხვები დასვან. აღსანიშნავია, რომ კითხვების დასმა შეიძლებოდა ფრანგულ, ესპანურ, ინგლისურ და არაბულ ენებზე, ხოლო პასუხები მხოლოდ ინგლისურად და არაბულად ვრცელდებოდა (Besenyo and Sinko 2021, 66). 2013 წელს დაჯგუფებამ თვითერზე ანგარიში შექმნა „აფრიკა მუსლიმა“, რომელიც პარალელურად ბლოგი და ფეისბუქის გვერდიც შეიქმნა. თუმცა ბლოგი და ფეისბუქის გვერდი მალევე დაიხურა განახლებების არქონის გამო, თვითერი კი ორგანიზაციის ერთადერთი მედია საიტი გახდა.

[1] ამერიკელი ფოტო რეპორტიორი ჯეიმს ფოლი 2012 წელს სირიაში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წევრებმა გაიტაცეს და 21 თვის განმავლობაში მძევლად ყავდათ. 2014 წელს ჯეიმს ფოლი სასტიკად მოკლეს.

[2] სახელწოდება „მანჰეთენის მგლები“ 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილ ტერაქტებს უკავშირდება.

ფონდების მოძიება

ექსტრემისტული დაჯგუფებები დაფინანსების მრავალფეროვან წყაროებს იყენებენ, როგორიცაა პირადი შემოწირულობები, ჰავალას სისტემა[3], მეჩეთების ქსელი, სახელმწიფოებისგან დაფინანსება, ფონდები. რაც შეეხება ინტერნეტ პლატფორმებს, რადიკალური დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ ამ პლატფორმას ფონდების მოძიებისთვის. ასევე დაჯგუფებები ქმნიან დონაციის აპლიკაციებს, იმეილებს და პირდაპირ კონკრეტულ მისამართებზე აგზავნიან დაფინანსებაზე ინფორმაციას. ჰამასმა სოციალური ქსელით გაავრცელა ბიტკოინით ფინანსების მოზიდვის კამპანია, თუმცა მოგვიანებით ჰამასის სამხედრო ფრთამ მოუწოდა ამ კამპანიის შეწყვეტისკენ (Al-Mughrabi 2023).

სომალიში მოქმედი ალ-შაბაბის დაჯგუფება ფონდების მოსაზიდად აქტიურადაა ჩართული სოციალური მედიის პლატფორმებზე და სწორედ რომ ჰავალას სისტემას იყენებს. 2009 წელს დაჯგუფებამ ონლაინ ფორუმებზე გაავრცელა ინფორმაცია შემოწირულობების თხოვნით და ერთ კვირაში დაახლოებით 40 000 აშშ დოლარი მოიზიდა დიასპორებიდან (Besenyo and Sinko 2021, 72).

დასკვნის სახით შეიძლება შეჯამდეს, რომ ექსტრემისტული დაჯგუფებები თუ მოძრაობები აქტიურადაა ჩართული ვირტუალურ საქმიანობაში. რადიკალური დაჯგუფებები იმავე პლატფორმას იყენებენ, რასაც ჩვეულებრივი მომხმარებელი და ისევე ადვილად ადაპტირდებიან ტექნოლოგიების მიმართ და ხშირ შემთხვევაში ახალი პლატფორმების ერთ-ერთი პირველი მომხმარებლები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aldera, Saja, Ahmed Emam, Muhammad Al-Qurishi, Majed Alrubaian, and Abdulrahman Alothaim. 2021. “Exploratory Data Analysis and Classification of a New Arabic Online Extremism Dataset.” *IEEEAccess:* 161613-161626.

Besenyo, Obuda, and Gabor Sinko. 2021. “The Social Media Use of African Terrorist Organizations: A Comparative Study of Al-Qaeda in Islamic Maghreb, Al-Shabaab and Boko Haram.” *Insights into Regional Development,* 3 (3): 66-78. http://doi.org/10.9770/IRD.2021.3.3(4).

Carter, J. Chelsea. 2014. “Video Shows ISIS Beheading U.S. Journalist James Foley.” *CNN*, August 20, 2014. https://edition.cnn.com/2014/08/19/world/meast/isis-james-foley/index (Accessed 14.07.2023).

Chailand, Gerard, and Arnaud Blin. 2007. *The History of Terrorism: from Antiquity to Al-Qaeda,* Berkeley/Los Angeles, CA: University of California Press.

Evans, T. Alexandra, and Heather J. Williams. 2022. *How Extremism Operates Online*. RAND Corporation.

Herath, Chamin, and Joe Whittaker. 2021. “Online Radicalization: Moving Beyond a Simple Dichotomy.” *Terrorism and Political Violence*, Volume 35, Issue 5 (2023): 1027-1048. https://doi.org/10.1080/09546553.2021.1998008.

Lamothe, Dan. 2015. “U.S. Military Social Media Accounts Apparently Hacked by Islamic State Sympathizers.” *The Washington Post,* January 12, 2015. https://www.washingtonpost.com/news/checkpoint/wp/2015/01/12/centcom-twitter-account-apparently-hacked-by-islamic-state-sympathizers/ (Accessed 29.08.2023).

[3] ჰავალას სისტემა - პოპულარული არაფორმალური ტრანსფერის სისტემა, რომელიც ეფუძნება ფულის ბროკერების ანუ ჰავალადარების ქსელის პატივისცემასა და ნდობას. ჰავალას სისტემა მოქმედებს ტრადიციული საბანკო და ფინანსური სისტემების გარეთ ან მის პარალელურად. ჰავალას ტრანზაქციისთვის საჭიროა მინიმუმ ორი ჰავალადარი, რომლებიც ზრუნავენ „გარიგების“ შესრულებაზე ნაღდი ფულის ან გადარიცხვის გარეშე.

Al-Mughrabi, Nidal. 2023. "Hamas Armed Wing Announces Suspension of Bitcoin." *REUTERS*, April 28, 2023. https://www.reuters.com/world/middle-east/hamas-armed-wing-announces-suspension-bitcoin-fundraising-2023-04-28/ (Accessed 20.08.2023).

Nacos, Brigitte L. 2016. *Terrorism and Counterterrorism.* New York: Routledge.

Reed, Alastair, and Haroro J. Ingram. 2017. *Exploring the Role of Instructional Material in AQAP's Inspire and ISIS's Rumiyah.* The Hague: EUROPOL.

Rubin, Olivia, Lucien Burggeman, and Will Steakin. 2021. "QAnon Emerges as Recruiting Theme of Criminal Cases Tied to US Capitol Siege." *ABC News*, January 20, 2021. https://abcnews.go.com/US/qanon-emerges-recurring-theme-criminal-cases-tied-us/story?id=75347445 (Accessed 31.09.2023).

Smith, Allison, G, 2018. "How Radicalization to Terrorism Occurs in the United States: What Research Sponsored by the National Institute of Justice Tells US." National Institute of Justice, NCJ 250171, Washington. https://nij.ojp.gov/.

Sorkin, Amy Davidson. 2016. "The Age of Donald Trump and Pizzagate." *The New Yorker*, December 5, 2016. https://www.newyorker.com/news/amy-davidson/the-age-of-donald-trump-and-pizzagate.